# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

19 ივლისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 135 (10304) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს სიეტლში დაიწყება კეთილი ნების მეორე თამაშები

### პირველი სამუშაო დღე

**როგორც** ვიუწყებოდით, ზედ, 21 ივლისს სიეტლში საზეიმოდ გაიხსნება კეთილი ნების მეორე თამაშები. ხვალ კი ასპარეზობაში ჩაებმებიან სპორტის სამი სახეობის წარმომადგენლები. სიეტლი უკვე კარგა ხანია მზად არის სპორტსმენთა მისაღებად. კეთილმოწყობილია ყველა სპორტული ბაზა, „სოფელი“ სადაც დელეგაციები იცხოვრებენ, პრეს-ცენტრი, გართობისა და დასვენების ადგილები.

პოლიცია ყველა სპორტულ ბაზას საგანგებო ყურადღებით იცავს, მაგრამ ყველაზე მეტად — „სოფელს“. იქ სპეციალური ნებართვის გარეშე ვერავინ შევა. მსურველებს გულისყურით შეამოწმებენ მცველები. „სოფლის“ გარშემო ორმოცი ვიდეოეკრანია დამონტაჟებული, რომლებიც ფაქტობრივად, მთელი ტერიტორიის შესახებ მიიღებენ ინფორმაციას პოლიციის შეფის განცხადებით, სეფხიზლის ასეთი ზომები აუცილებელია, რათა „სოფლის“ ტერიტორიაზე არ შეაღწიოს ნარკოტიკულმა საშუალებებმა და სხვა კონტრაბანდამ. ამ მიზნით პოლიცია გამოიყენებს სპეციალურად გაწვრთნილ და დაგეშილ ძაღლებს.

ახლა პირველი დღის პროგრამის შესახებ. შეჯიბრებას იწყებენ ფრენბურთელი ქალები, მოცურავეები და ტანმოვარჯიშეები. დილით გაიმართება ფრენბურთელთა შემდეგი მატჩები: პერუ-ჩინეთი, ბრაზილია-კანადა. დღის მეორე ნახევარში კიდევ ორი შეხვედრა ჩატარდება: კუბა-იაპონია და აშშ-სსრ კავშირი. ეს ბოლო მატჩი, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს.

ცურვაში ვაჟები გაითამაშებენ მედლებს 500 მ. თავისუფალი სტილით, 200 მ. ბრასის სტილით, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, აგრეთვე ესტაფეტაში 4X200 თავისუფალი სტილით. ქალები ერთმანეთს შეეჯიბრებიან თავისუფალი სტილით 50 მ. და 800 მ. ბატერფლაის სტილით 100 მ. და გულაღმა 200 მეტრზე ცურვაში.

გაიმართება აგრეთვე ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდური ტურნირი.

## პირველ დღეს — ორი მედალი

**წარმატებით** დაიწყეს ასპარეზობა სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადაზე ქართველმა ძიუდოისტებმა: სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენლებმა ასპარეზობის პირველ დღეს ორი მედალი მოიპოვეს: 86 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ახმეტელი დავით ზაგაური, ხოლო გორელმა მიხეილ ხუმარაძემ მძიმე წონაში მე-3 ადგილი დაიკავა.

## კალათბურთის, ფრენბურთის

**მოსწავლეთა** სპორტი რომ დიდი სპორტის საძირკველია, ეს აქსიომაა — როგორც ემუშავებ მოზარდებთან, ისეთ შედეგსაც მიაღწევ.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში თბილისი მასპინძლობს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ზონალურ ტურნირებს ფრენბურთსა და კალათბურთში. ეს ასპარეზობები დაგვანახებენ, როგორი რეზერვი გვყავს, ვინ მოდის მომავლიდან...

**ფრენბურთელთა** ტურნირის პირველ დღეს ჩვენი გუნდი ისვენებდა. უკრაინელები შეხვდნენ ყირგიზეთის ნაკრებს, თამაშის სადავეები თავიდანვე უკრაინელებმა იგდეს ხელთ და პირველსავე პარტიაში დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 15:4. მათ მეორე და მესამე პარტიებიც მოიგეს (15:5; 15:5) და სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

მოლდავეთისა და უზბეკეთის გუნდების თამაშს სპეციალისტები ცენტრალურ შეხვედრად მიიჩნევდნენ. ერთმანეთის პირისპირ ორი უშუალო კონკურენტი წარდგა. ასპარეზობა მართლაც დაძაბული, სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. უზბეკმა სპორტსმენებმა მხოლოდ პირველ პარტიაში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მაინც დამარცხდნენ 9:15. დანარჩენი პარტიებიც მოლდაველთა აშკარა უპირატესობით წარიმართა: საბოლოოდ — 3:0 (15:9; 15:5; 15:2) მათ სასარგებლოდ.

**ჟაბუკ** კალათბურთელთა ასპარეზობის პირველი დღე. მასპინძლები აქაც ისვენებდნენ. მოსკოვისა და მოლდავეთის ნაკრებების შეხვედრა ნელი ტემპით, მრავალი ტექნიკური ხარვეზით გამოირჩეოდა. გამოკვეთილ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. ტაიმი მოსკოველებმა მინიმალური ანგარიშით — 31:30 — მოიგეს. მეორე ნახევარში მოსკოველებმა ოდნავ უმატეს თამაშის ტემპს, მოლდაველებმა კი — შეცდომებს და, საბოლოოდ, გამარჯვება მოსკოველებს დარჩათ 67:59.

სომხეთისა და აზერბაიჯანის კალათბურთელთა შეხვედრა დინამიურად დაიწყო. პირველ წუთებზე უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა, მაგრამ ნელნელა სომხეთის წარმომადგენლებმა იმარჯვეს და პირველი ნახევარი მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 31:24. სომეხმა კალათბურთელებმა არც მეორე ნახევარში დათმეს ინიციატივა. აზერბაიჯანის გუნდი მხოლოდ შეხვედრის ბოლო ორ წუთში გააქტიურდა, მაგრამ მხოლოდ სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლო — 61:60. გაიმარჯვა სომხეთის ნაკრებმა.

**გუშინ** გაიმართა მორიგი შეხვედრები. **ფრენბურთი:** უკრაინა-მოლდავეთი 3:0 (15:10; 15:5; 15:10); საქართველო-ყირგიზეთი 3:0 (15:6, 15:6; 15:7). **კალათბურთი:** სომხეთი — მოსკოვი 41:50 (19:22), საქართველო — აზერბაიჯანი 158:55 (80:35).

## ტრაგედია პამირის მთებში

**„18 ივლისს მოსკოვის დროით 18 საათსა და 30 წუთზე ლენინის პიკზე მიწისძვრის შედეგად ზვავი ჩამოწვა და 5300 მეტრ სიმაღლეზე ბანაკი დაიტანა, სადაც, როგორც ამბობენ, 48 მთამსვლელი ყოფილა. ყველანი დაიღუპნენ. მათ შორისაა ლენინგრადის თითქმის მთელი ნაკრები — ტროშჩინენკოს გუნდი, 5 კაცი საერთაშორისო ბანაკ „ნავრუზიდან“, დანარჩენები სხვა გუნდებიდან არიან. მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები. მუშაობს 30-ზე მეტი კაცი“.**

**ასეთი დეპეშა მოვიდა 16 ივლისს სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციაში. სამაშველო სამუშაოებზე მაშინვე გაგზავნეს ხალხი მოსკოვის მყინვარისა და აგარა აჩიკტაშის რაიონებიდან. ტრაგედიის რაიონში გაფრინდნენ მოსკოველი სპეციალისტებიც. აი, რა უთხრა ხაკლესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა ალპინიზმში ვლადიმერ შატაევმა:**

**— ასეთი ტრაგედია ჯერ არ მომხდარა საბჭოთა და, როგორც ვფიქრობ, მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ბანაკის ადგილი, რომელსაც მთამსვლელები „ტაფას“ უწოდებენ, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან გამოიყენება ლენინის პიკზე ასვლისას. 1974 წლიდან აქ პრაქტიკულად ყოველთვის ხცემდნენ ბანაკებს, ზოგჯერ 100 და მეტი კაცისთვის. ასე რომ, ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო. დიდთოვლობა აძნელებს სამაშველო სამუშაოებს. დღემდე ვერ უპოვიათ დაღუპულთა გვამები. სულ, როგორც ვფიქრობთ, ზვავმა იმსხვერპლა 40 კაცი — 28 ლენინგრადიდან, 8 დუშანბედან, 1 ჩიმკენტიდან, 4 ისრაელიდან, 6 — ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან, 2 შვეიცარიიდან და 1 ესპანეთიდან. როგორც ჩანს, დანარჩენმა სამმა მოასწრო გადარჩენა, რადგან ზვავის ჩამოწოლის მომენტისათვის მათ დაშვება დაიწყეს...**

## ქართველ მთამსვლელებს საფრთხე არ ემუქრებათ

**ლენინის პიკზე** დატრიალებულმა ტრაგედიამ, ცხადია, ყველა დაგვამწუხრა და შეგვაშფოთა. შეშფოთების მიზეზი გახლავთ ისიც, რომ პამირის მთებში სასიმაღლო ასვლების განსახორციელებლად იმყოფება საქართველოს მთამსვლელთა გუნდი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ალპური კლუბის ხელმძღვანელობა დაუკავშირდა საკავშირო სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ალპინიზმში ვლადიმერ შატაევს, რომელმაც განაცხადა:

„საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიციის მოქმედების რაიონი დაახლოებით 120 კილომეტრით არის დაშორებული ლენინის პიკის ამ რაიონს, სადაც ტრაგედია დატრიალდა. უახლესი ცნობების თანახმად, ქართველი მთამსვლელები თავს ჯანმრთელად გრძნობენ და მათ საფრთხე არ ემუქრებათ“.

**საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია, ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი, ალპინისტური კლუბი „კავკასიონი“, რესპუბლიკის მთამსვლელთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ლენინის პიკზე ჩამოწოლილმა ზვავმა იმსხვერპლა ლენინგრადის ალპინისტთა გუნდის წევრები, სხვა საბჭოთა და უცხოელი მთამსვლელები და თანაგრძნობას უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.**

**საქართველოს** სპორტსახკომის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 13 ივლისს ლენინის პიკზე დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით ტიან-შან-პამირის მთიანეთში შემდგომი ასვლებიდან მოიხსნა საქართველოს ალპური კლუბის გუნდი.

### ინფორმაცია

**მიმდინარე** წლის 27 აგვისტო — 1 სექტემბერს სპლიტში (იუგოსლავია) მძლეოსანთა ევროპის მორიგი ჩემპიონატი ჩატარდება. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მასში მონაწილეობას მიიღებს 34 ქვეყნის 1200-ზე მეტი ათლეტი. მიმომხილველთა განცხადებით, ეს ორივე ციფრი სარეკორდოა. შეჯიბრებაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოვლენ ალბანელი მძლეოსნებიც. კონტინენტის ჩემპიონატის რეპორტაჟებს 38 ტელეკომპანია მოემსახურება. მათ შორის იაპონიის რამდენიმე ტელეგაერთიანება. მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი მძლეოსნობაში 1991 წელს ტოკიოში მოეწყობა. იაპონელები კი ასეთ დროს ნებისმიერი ქვეყნის გამოცდილებას სწავლობენ.

### წელიწადი - მკითხველი

● **ტოკიო.** იაპონიაში სტუმრად მყოფმა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ განაცხადა, რომ ამიერიდან ფრენბურთის მსოფლიო ლიგის პირველობის მონაწილეთა რაოდენობა რვიდან თორმეტამდე გაიზრდება. მან მაღალი შეფასება მისცა პირველ ასეთ ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, სსრ კავშირის, აშშ-ის, საფრანგეთის, ჩინეთისა და იაპონიის გუნდები, თან რწმენა გამოთქვა, რომ მომავალში შეჯიბრების ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზრდება.

● **ვაშინგტონი.** ამერიკული ჩოგბურთის ვეტერანი ჯონ მაკინროუ, რომელიც უიმბლდონის ტურნირს პირველივე წრის შემდეგ გამოეთიშა, წარმატებით ასპარეზობს აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში. მეორე წრეში მან დაამარცხა თანამემამულე პოლ ჩემბერლენი 6:2, 6:3.

#### საქართველოს სპორტსახკომში

## ლიდერზე მაინც ბევრია დამოკიდებული

**როცა** გუნდიდან ლიდერი მიდის, შეიძლება თუ არა ეს გუნდი კვლავ პერსპექტიულად იწოდებოდეს? ეს კითხვა სპორტსახკომში გამართულ თათბირზეც დაისვა. იხილავდნენ სპორტულ ტანვარჯიშში, ბატუტზე ხტომასა და აკრობატიკაში დღევანდელ მდგომარეობას და სამომავლო გეგმებს. ლიდერი, სპორტულ ტანვარჯიშთან დაკავშირებით ახსენეს. ითქვა, რომ, მართალია, ვაჟთა ნაკრებს ამჟერად არა ჰყავს აშკარად გამოკვეთილი ისეთი ლიდერი, როგორიც სულ ახლახან ვლადიმერ გოგოლაძე იყო, მაგრამ ეს გუნდი მაინც პერსპექტიულად გვესახება. გამოითქვა რწმენა, რომ გუნდი გაისად სრულ მზადყოფნაში იქნება. დღეისათვის კი ქვეყნის ნაკრებში შეყვანილია ორი ქართველი სპორტსმენი — ლევან სისაური და ემზარ ფუნთუშაშვილი. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთაგან განსაკუთრებით კარგი მომავალი აქვთ 12 წლის ქუთაისელ მოსწავლეს ილია გიორგაძეს და 15 წლის ბათუმელ გენადი სურმანიძეს.

ვერ იქნა და ვერ „წამოდგა ფეხზე“ რესპუბლიკის ქალთა ნაკრები სპორტულ ტანვარჯიშში. გუნდი გასულ წელს მე-12 ადგილზე გავიდა და პირველიდან მეორე ჯგუფში გადაინაცვლა, აქ ასპარეზობისას კი მეორე შედეგი აჩვენა, ვინაიდან კვლავ წააგო სომხეთის გუნდთან. თუმცა შარშანდელთან შედარებით სამ იარაღზე გააუმჯობესეს შედეგები. გუნდში სოფიკო მანაგაძე და სტელა დავიდოვა რომ ყოფილიყვნენ, უდავოდ უკეთესი შედეგი ექნებოდათ და, ალბათ, პირველობასაც მოიპოვებდნენ. ასეა თუ ისე, ჩვენმა გოგონებმა უფლება მოიპოვეს გაისად კვლავ პირველ ჯგუფში იასპარეზონ.

აღინიშნა, რომ ბავშვთა სპორტული სკოლები დაბალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეებს უშვებენ, მაშინ, როდესაც თითოეული სპორტსმენის მომზადება 22 ათასი მანეთი ჯდება (თუ არ ჩავთვლით სავარჯიშო იარაღს, დარბაზის განათებას, გათბობას და ა. შ.). მოჭარბებული გვეჩვენება ჩვენში მომუშავე მწვრთნელების რაოდენობა. დიდია გოგონათა შორის განთესვაც, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიჭიერ ტანმოვარჯიშეთა სელექცია. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ხუთიოდე წლის შემდეგ დიდ სპორტში უკვე არავინ გვეყოლება.

**ბატუტზე ხტომა** შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ უკვე გვაქვს გარკვეული წარმატებები. სამწუხაროდ, არც ამ სახეობაშია ყველაფერი რიგზე, მთელი მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ ლიდერებთან, დანარჩენებზე კი ნაკლებად ვფიქრობთ. ზამთრის პერიოდში ნაკრებსაც არ ჰქონდა ყველა პირობა ნორმალური მზადებისათვის — „მართვეს“ დარბაზში გათბობა არ იყო და ამიტომ ვარჯიში ნაკლებად ეფექტური გამოდგა. რა გასაკვირია, რომ ჩვენი გუნდის ლიდერმა რუსუდან ხოფერიამ უხეიროდ იასპარეზა საკავშირო თასის გათამაშებაში. კმაყოფილნი ვართ 16 წლის ანა დოლონაძის შედეგით, იგი მესამე ადგილზე გავიდა. ყველას მოეწონა 17 წლის ზაზა აბრამიშვილის გამოსვლაც — იგი მეხუთე იყო და ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს. დასანანია, რომ ნიჭიერი ბატუტისტი ლია ბენდიანიშვილი მთელი ძალით ვერ ვარჯიშობს, რადგანაც ტრავმის შემდეგ მას კვლავ აწუხებს ფეხი. აღსანიშნავია, რომ ოთხი ქართველი სპორტსმენი მიწვეულია ქვეყნის ნაკრებში, მათ საერთაშორისო შეჯიბრებები ელით, ეგებ ევროპის პირველობაც. რაც შეეხება რ. ხოფერიას, იგი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვა გფრ-ში. ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაციისათვის საჭიროა ახალი ჯგუფების შექმნა, თბილისში სავარჯიშო ცენტრის ჩამოყალიბება, მწვრთნელთა ახალი კადრების აღზრდა, რადგან მათი რიცხვი დღეს სამიოდეს თუ აღწევს.

გაცილებით უკეთესი სურათია **აკრობატიკაში.** მაისში ქვეყნის ჩემპიონატზე საქართველოს ოთხეულმა და სამეულმა ოქროს მედლები მოიპოვეს. სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალთა სამეული კვლავ საკავშირო ნაკრებშია და მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება. მერე კი, სექტემბერში, ტოლიატში ქვეყნის თასის გათამაშებაში გამოვა. ამ სახეობაში საქართველოში, ფაქტიურად, ერთი სკოლა მუშაობს, რაიონებში კი, შეიძლება ითქვას, არაფერი კეთდება. ერთგვარი კომპენსაცია ამ მხრივ იქნება თბილისის 120-ე სკოლის ბაზაზე (ავჭალაში) აკრობატიკის სპეციალიზებული სკოლის ჩამოყალიბება.

### ნუ დავკარგავთ სოფლის ტრადიციებს

# კვლავ დაამშვენოს...

**იცვლება** დრო, იცვლება ცხოვრება, ხალხი, იცვლება იმ ადამიანების ფსიქიკა, რომლებიც გუშინ და გუშინწინ სულ სხვაგვარად აზროვნებდნენ. არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, ხალხს არ უგულებელეყო ის, რაც ძალით მოახვიეს თავს. ადამიანებს თავისუფლება ესაჭიროებათ ცხოვრებაშიც და რწმენაშიც. ვამბობ ამას და მახსენდება რელიგიური დღესასწაულები, წელს რომ გაიმართა ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში.

ეროვნული ტრადიციები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, ყველაზე ლამაზად თავს სწორედ რელიგიური დღესასწაულების დროს იჩენს. როცა დიდი თუ პატარა შეიკრიბება ეკლესიის ეზოში და იმართება რელიგიური რიტუალები, კულტურულ-სპორტული ღონისძიებანი.

რა დასამალია ის ფაქტი, რომ საბჭოთა ეპოქაში ასეთი დღესასწაულები იკრძალებოდა. ამიტომაც შეიბღალა და დაკნინდა მათი არსი.

მართალია უკანასკნელ წლებში ვითარება შეიცვალა, რელიგიური დღის აღნიშვნა ნებადართულია, მაგრამ უკუღმა დატრიალებული ბორბლის ერთბაშად წაღმა შემობრუნება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. რატომ შეგვტკივა გული ასეთ სახალხო ზეიმზე? იმიტომ, რომ სწორედ აქ იშვა ის ხალხური თამაშობანი, რომლებითაც დღეს ჩვენ თავს ვიწონებთ. ასეთ დღესასწაულებზე იმართებოდა ცხენოსნობა, ჰიდაობა, ლელობურთი, რიკტაფელა, ჰოკით სიგრძეზე ხტომა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად შენელდა ინტერესი ხალხური თამაშებისადმი, იშვიათადღა იმართება ამგვარი დღესასწაულები, ხელის ჩაქნევა მაინც არ გვმართებს, რადგან სხვადასხვა კუთხეში მაინც შემოგვრჩა იგი.

### „რა დროსა ვარ ცოლიანი?!“

ჩხოროწყუს რაიონში ერთი პატარა, ლამაზი სოფელია — ზუმი. აქ ყოველ წელს იმართებოდა ამაღლების დღესასწაული. ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა მაშინ ამ სოფელში. ასე იტყოდნენ უხუცესები — ამაღლება ზუმს აკისრიაო. ე. ი. ეს დღესასწაული ამ სოფელში უნდა გამართულიყო. გიორგობა თაიაში ტარდებოდა, ალერტობა — ახუთში, წყლის კურთხევა — მუხურში და სხვა. ასეთივე ტრადიციები სხვა სოფლებს, სხვა კუთხეებსაც ჰქონდათ. არც ერთი ეს ზეიმი არ დამთავრებულა ხალხური თამაშობების გარეშე. ღვთის პატივის შემდეგ სწორედ ეს იყო ხალხის შეკრების მიზეზი. წელს ამაღლების დღესასწაულს შევესწარი ზუმში. ძველებური ხალხმრავლობა არ იყო. დიდი ხანია აქ ეკლესია დაანგრიეს, აღარც ღვთის მსახურები არიან, მაგრამ, ადრე არსებული წესისამებრ, მაინც მოდის ხალხი. ადრე თუ წირვას ესწრებოდნენ, იმართებოდა ბაზრობა, სპორტული ღონისძიებანი, ახლა ყოველივე ეს მოისპო, ასე რომ, სტუმრად ჩამოსული თუ დამხვდური ამ დღეს მხოლოდ საქეიფოდ არის გამზადებული.

ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ინსტრუქტორ-მეთოდისტს ჯანიკო ბასილაძეს გადაეწყვიტა, კვლავ აღედგინა სპორტული ღონისძიებები ამ დღეს. აქ განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ცოლიანთა და უცოლოთა პაექრობა. სოფლის სტადიონზე მართლაც შეიკრიბნენ ახალგაზრდები, მათ შორის ბევრი ჭარმაგიც ერია. ხალხის ჯგუფი ორად გაიყო. თითქმის ყველა სახეობაში საინტერესო პაექრობა გაიმართა. ახალგაზრდები დაჯერებულნი იყვნენ საკუთარ ძალაში, მაგრამ არც ცოლ-შვილის პატრონებს ეშინოდათ. მართალია, ფრენბურთის გარდა ვერც ერთ სახეობაში ვერ მოიპოვეს გამარჯვება უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ბევრს არაფერს უთმობდნენ ახალგაზრდებს. ისინი, გარდა ამისა, ერთმანეთს გაეჯიბრნენ მკლავჭიდში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, ბირთვის კვრაში, ფეხბურთში.

ამ დღეს ხუტუშა ჩარკვიანის ხუთი ვაჟიშვილი მონაწილეობდა შეჯიბრებაში. ისინი თითქმის ყველა სახეობაში ყოჩაღობენ. განსაკუთრებით ეხერხებათ ფრენბურთი. გასულ წელს ძმებმა ჩარკვიანებმა მამასთან ერთად რაიონში მეორე ადგილი დაიკავეს. უმცროსი, ანზორი ხუთჭიდელია და წელს საქართველოს ნაკრებშია მიწვეული. როცა ბაგირის გადაძალვის მესამე ცდაზე ახალგაზრდებმა იმარჯვეს, ხუტუშას უნებურად წამოცდა: ეჰ, რა დროსა ვარ ცოლიანი?! არა უშავს, ბატონო ხუტუშა, თქვენი შვილებიც დაოჯახდებიან და მათაც შერჩებათ, ალბათ, თქვენებრ სპორტული სული.

### ხევდანარევი გამარჯვების სიხარული

წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში ამაღლების დღესასწაულზე ფინალური შეჯიბრება გაიმართა ფეხბურთში მოსწავლეთა შორის. ეს დღე საგანგებოდ შეარჩიეს ორგანიზატორებმა, რადგან იგი ძმების დათო და ვახტანგ კვარაცხელიების ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი.

საოცარი ბედისწერის აღმოჩნდნენ ძმები. ისინი ენგურთან ჭიდილში დაიღუპნენ. დათოს მისაღები გამოცდები ჩაბარებული ჰქონდა უნივერსიტეტში. დაღუპვის შემდეგ ჩარიცხვის ცნობაც მოვიდა... წერდა ლექსებს. ახლახან მისი ლექსების კრებულიც დაიბეჭდა. ვახტანგი სკოლის მოსწავლე იყო. ორივენი სპორტით გახლდნენ გატაცებულნი.

ეს იყო ოთხი წლის წინათ. მას შემდეგ ნაკიფუს საშუალო სკოლის ინიციატივით თამაშდება ძმები კვარაცხელიების პრიზი. პირველ წელს იგი ნაკიფუს საშუალო და არასრულმა საშუალო სკოლებმა გაითამაშეს. წელს რაიონის ექვსმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა, მომავალში ეს შეჯიბრება უფრო მეტ მასშტაბს შეიძენს. ფინალში ლექას არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს. მათ გადაეცათ ძმები კვარაცხელიების პრიზი და ფასიანი საჩუქრები. მამამ, რინოსი კვარაცხელიამ, გამარჯვებული გუნდის წევრებს დათოს პოეტური კრებული გადასცა...

**მინაწერი:** ეროვნულ ტრადიციებს მოვლა რომ სჭირდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ვინ უნდა მოუაროს, თუ არა ისევ ჩვენ. თუნდაც იმ ერთი დღის, ამაღლების დღესასწაულმა გვიჩვენა, რომ მეტი გარჯა, ხალხთან სიახლოვე გვჭირდება. გულში უნდა ჩავიხერგოთ ღვთის სიყვარული და მოყვრის პატივისცემა. ზემოთ ნახსენები ღონისძიებები მაინც საგანგებოდ იყო მოწყობილი, უფრო კარგად, გულიანად ჩატარებაც შეიძლებოდა. იმ დღეს რამდენიმე სხვა სოფელიც გავიარეთ, ზოგან სათამაშო მინდორი თუ სტადიონი უკაცრიელი იყო, ზოგან ბურთაობდნენ, თითქმის ყველა ოჯახში კი სუფრა იყო გაშლილი. სწორედ აქ უნდა გამოიჩინონ თავი სპორტის მესვეურებმა, რათა ყოველი ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვან და იგი ეროვნული სპორტის, მისი ტრადიციების ასაღორძინებლად გამოიყენონ. სალხენად ყოველთვის გვქონოდეს საქმე, მაგრამ დღეს ერს უფრო დიდი საზრუნავი გასჩენია. სწორედ ამას უნდა მოვლა-მიხედვა.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**



### რესპუბლიკური სპარტაკიადა

# თურმე რეკორდები ბერდებიან...

**ეს** ინფორმაცია, ალბათ, უფრო ადრე უნდა მიგვეწოდებინა ჩვენი მკითხველისათვის. მაგრამ თავი შევიკავეთ. რატომ? ახლავე მოგახსენებთ: ცურვაში მოსწავლეთა X რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ, რომელიც თბილისში, ცენტრალურ საწყალოსნო კომპლექს „ვერეში“ ჩატარდა, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სპორტის ამ სახეობაში კვლავ მრავალი პრობლემა რჩება გადაუჭრელი და ეს აშკარა დაღს ასვამს ჩვენში ცურვის განვითარებას. ამ სპარტაკიადას, ერთი შეხედვით, საზეიმო იერი უნდა ჰქონოდა, თუნდაც იმიტომ, რომ 14 წლის დინამოელმა დიანა სვინჩენკომ 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გააუმჯობესა რესპუბლიკური, რეკორდი, რომელიც 8 (!) წლის წინ დაამყარა ირინა გერასიმოვამ. ირინას რეკორდი, მართლაც, სარეკორდოა ხნოვანებით. დიანას ახლანდელი შედეგი კი ასეთია — 1.14,3. სპარტაკიადის შემდეგ საქართველოს სპორტსახკომის საწყლოსნო სახეობების განყოფილების გამგე დავით იაშვილი გვეტყვის: „მართალია, რეკორდი გაუმჯობესდა, დიანა სვინჩენკომ დაგვაიმედა, მაგრამ ჯერ მოვიცადოთ: თუ საქართველოს წარმომადგენლები საკავშირო პირველობაზეც გაგვახარებენ, ესე იგი, ყინული დაიძრა. თუ არა და... არ ღირს ზარ-ზეიმად“.

თითქოს გული უგრძნობდა ბატონ დავითს! დიანამ საკავშირო პირველობაზე კიდევ ერთხელ გააუმჯობესა თავისი რესპუბლიკური რეკორდი და 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 1.13,63 აჩვენა. იგი I ფინალში მოხვდა, სადაც გერასიმოვას შემდეგ არც ერთ ჩვენს წარმომადგენელს არ უასპარეზია.

საკავშირო პირველობაზე 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ვიაჩესლავ სტეპანოვმა (4.37,65) და ჭაბუკთა შორის III ადგილი დაიკავა. ურიგოდ არ უასპარეზია დავით ნიჟარაძესაც — 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მისი შედეგი იყო 2.11,37. აღსანიშნავია ანდრეი ბუკინის გამოსვლაც 200 მეტრზე ბატერფლაით: 2.05,76.

სასიკეთო ძვრა საგრძნობია, ამას ვერ უარყოფ, მაგრამ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე იმდენი უფერული და უსახური გამოსვლა ვნახეთ, ცურვასთან რომ არაფერი კავშირი აქვს. საქართველოს მოსწავლეთა X სპარტაკიადამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ დაბალია მოზარდთა მომზადების დონე, ცოტა ან საერთოდ არ სრულდება მაღალი ნორმატივები, არ გვყავს წარმომადგენლები 400 მეტრზე კომპლექსურ და 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. კვლავ სუსტად გამოვიდნენ აფხაზეთის და აჭარის გუნდები და, საერთოდ, ძნელია გამოჰყო გუნდი, რომელიც რაღაც იმედის ნაპერწკალს გაგვიღვივებდა და დაგვარწმუნებდა, რომ სპორტის ეს სახეობა აღორძინების გზაზეა.

სპარტაკიადაზე ორ ქვეჯგუფში გაერთიანებული 14 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ქვეჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 1583 ქულა, 2. რუსთავი — 1114, 3. ქუთაისი — 905. აღსანიშნავია, რომ თბილისი ორი გუნდით გამოდიოდა, რომელთაგან ერთმა I ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. II ქვეჯგუფში 842 ქულით პირველ ადგილზე ხობელთა გუნდი გავიდა, მეორეზე — ზუგდიდი (605), მესამეზე — ტყიბული (514).

**ინგა ჩახვაშვილი.**

### ქართული პრესა წერდა...

# ცხენოსნობა, ჭიდაობა...

**1846 წელს** დოღისთვის ტფილისში კამისია დაწესდა. ამ კამისიის განზრახვა ის იყო, რომ ადგილობრივის ცხენების ჯიში გაკეთებულიყო და მიეღო ის თვისება, რომელიც საჭიროდ შერაცხეს. 1860 წელს ღენერალ-ფელდმარშალმა კნიაზმა ბარიატინსკიმ დოღის შესახებ ახალი დადებულება გამოსცა. ამ დადებულების ძალით ახლა ყოველ წელიწადს დაინიშნება ხოლმე დოღი და მოხდება ხოლმე ცხენების მუხლში გასინჯვა არამც თუ მარტო ტფილისში, არამედ ბაქოში, თემირხან-შურაში, სტავროპოლში და ვლადიკავკაზში. ამ დოღის აზრი, როგორც წინეთ ვთქვით, კავკასიის ცხენის ჯიშის გაუმჯობესებაა.

წლევანდელ წელს ცხენების გასინჯვა მოხდა 10 აპრილს მუშტაიდის მახლობლივ. მინდორზედ წრე ირგვლივ ვერს ნახევარზედ იყო შემოფარგლული. ჯერ ულაყი ცხენები უნდა გაეჭენებინათ და მერმეთ ჭაკი ცხენები. ულაყს ცხენებს წრისთვის ოთხჯერ უნდა შემოერბინათ და ჭაკ-ცხენებს — სამ ნახევარჯერ. რომელი ულაყი ცხენიც ყველაზედ პირველად მივიდოდა დანიშნულს ადგილას, ის ცხენი საჩუქრად 600 მანეთის ვაზას მიიღებდა, იმის მომტანე— ფულად 300 მანეთსა და მესამე კი 200 მანეთსა. პირველად მისული ჭაკი ცხენი მიიღებდა სამოცის თუმნის საჩუქარსა და მეორედ მისული ფულად ოცს თუმანს. დღე იყო სიცხიანი, იმ ადგილას, საიდამაც ცხენები უნდა გამოეშვათ, ფიცრული თავშესაფარი იყო გაკეთებული; ამის ქვეშ ადგილები ბილეთით ისყიდებოდა. იმ ადგილის მახლობლივ, წრეს შიგნით, იყო მუზიკა, რომელიც შეაქცევდა მსმენელებსა. თითქმის მთელის წრის გარემო სულ ხალხით იყო შემოსეული. წინ სალდათები იყვნენ გამწკრივებულნი, რომ ხალხი წრესთან ძალიან ახლო არ მიმდგარ იყო და გამოჭენებულს ცხენებისთვის არ დაეშალა. მესამე საათზედ დანიშნულს ადგილიდამ ცხენები გამოაქციეს. ერთი მშვენიერად მოყვანილი ლურჯი ცხენი, როგორც მწევარი, ყველა ცხენებზედ წინ ისე მიფრინავდა, იმან ორი წრე ძრიელ კარგად გააკეთა და არც ეჭვი მქონდა რომ ის მოიგებდა, მაგრამ მესამე შემოვლაზედ კი სულ ყველაზედ თითქმის უკან დარჩა. ამ შემთხვევამ ძალიან გამაკვირვა. უფრო იმისთვის, რომ ცხენს ძლიერ დაღალვა არ ეტყობოდა. შემდეგ, როგორც გავიგე, ცხენი დაკოჭლებული იყო. სახელად იმას მაწლას ერქვა და იყო კნიაზ ერეკლე გრუზინსკისა. პრიზი მოიგო დაიჭიმ, თ. ალექსანდრე ავხაზიშვილის ცხენმა. ეს ცხენიც ძალიან ღონიერად მოდიოდა და იყო არაბული ცხენის ჯიშისა.. მეორეთ ერთი პატარა წითელი ცხენი მივიდა. ის იყო ყაზახის გვარისა, ეკუთვნოდა ასლან-ალას; სახელად დილიბოზი ერქვა. მესამე პრიზი კი ქურთისტანელს ლურჯს ცხენსა ხვდა. იმას ერქვა კეგლან და იყო ჰასან-ალისა.

პირველს რიგში ოცი ულაყი ცხენი გამოიქცა. მეორე რიგში კი მარტო ოთხი ჭაკი ცხენი გამოაჭენეს. პირველი პრიზი ხვდა მაშას, კოძიკოვის ცხენსა. ეს ჭაკი ცხენი იყო. გძელის ტანისა, მოჭირებულის წითელის ფერისა, ქონდა საკვირველი თანასწორი და გრძელი ნათხალი; ამისთვის თუმც ორჯერ წრის შემორბენაში ყოველთვის უკან რჩებოდა, მაგრამ მესამე ჯერ კი ყველაზედ წინ წავიდოდა. მეორე საჩუქარი მარალმა ველი-ალის ჭაკმა ცხენმა არაბის ცხენის ჯიშისამ მიიღო.

ულაყ-ცხენებს 10 მინუტის განმავლობაში უნდა გაეკეთებინათ ოთხი წრე და ჭაკებს სამ წრე ნახევარი — 12 მინუტის განმავლობაში. ამ დანიშნულს დროზედ არც ერთს არ გადაუცილებია.

**„დროება“, 1866 წ. № 7.**

**„გუშინ** „ევროპის“ ბაღში იყო გამართული გლდანელისა და ჰობისხეველის ჭიდილი თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, თუმცა შამოსავალი ძრიელ ცოტა დარჩა წვიმის გამო, მაგრამ ჭიდილი კი საინტერესო იყო. გლდანელს ასეთი ღონიერი მოჭიდავე არ შეხვედრია. თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა ჭიდილი. პირველად ჰობისხეველმა პირქვე დაახეთქა მიწაზე გლდანელი, მაგრამ ჭიდილის ახირებული კანონი მოითხოვს, რომ გულ-აღმა უნდა დაეცეს დაძლეული. მეორედაც პირქვე დაამხო ახალმა მოჭიდავემ. მესამედ საბრალო გლდანელი დაიქანცა და უარი სთქვა — აღარ ვჭიდავობო, მაგრამ მომზერალნი არ დათანხმდნენ. ჰობისხეველიც გულით აღარ მოექიდა ჭიდილს, რაკი მოწინაალმდეგემ იარაღის დაყრა გამოაცხადა, აი, ამ დროს გლდანელმა ბარიერზე მოიგდო მოწინაალმდეგე და, რომ მართალი სთქვას კაცმა, ბარიერზე მიაწვინა; თუმცაღა მისი მოსარჩლენი გაიძახოდნენ „დასცაო“ და ამასთანავე ეწეოდნენ ჰობისხეველს ბარიერზე უკან გადასაგდებად, მაგრამ სრულიად ვერ დასძრეს ეს გოლიათი.

კარგი იქნება, რომ მეორედ დასჭიდებდნენ ამ ძლიერს მოჭიდავეს და გლდანელს. მომზერალნიც ბლომად იქნება და მოჭიდავეთ ხერხიც და ძალაც ნამდვილად გამოჩნდება“.

**„დროება“, 1884 წ. 8 ივნისი (№122).**

შეკრიბა
**ხულიკო ნუცუბიძემ.**



# სურვილი ბევრს შეაძლებინებთ

**იქნებ** ბევრმა არ დაიჯეროს, რომ ლანჩხუთში, ამ წმინდა საფეხბურთო ქალაქში, არის კარატისტთა ჯგუფი. უფრო მეტიც, აქ ქაოას (ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია) რეგიონალური განყოფილებაც დაარსდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ



ენთუზიასტებმა — შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების წარჩინებულმა მუშაკმა, მაიორმა ოთარ უროტაძემ და სუფსის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ალეკო სტურუამ შექმნეს კარატეში მეცადინეობის მსურველთა ჯგუფი, რომელშიც 17 კაცი გაერთიანდა. მათ შორის ყველაზე უფროსი 37 წლისაა, ყველაზე უმცროსი 12-ისა. ჯგუფში კიმონოიან ქალიშვილსაც შეხვდებით, 15 წლის ნარიტა უროტაძეს.

კარატისტები დღესდღეობით მიუსაფარნი არიან, რადგან არავითარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნიათ. არადა აქაურ ახალგაზრდებს ძალზე იზიდავს ეს სახეობა და სრული შესაძლებლობაც არის იმისა, რომ დამატებითი ჯგუფებიც გაიხსნას.

იქ, სადაც ასეთი დიდი სურვილია, ვფიქრობთ, შედეგიც კარგი უნდა იყოს.

**სურათებზე:** ლანჩხუთელი კარატისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„მზიური“ (გალი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:3 (0:0).**

**თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 17 ივლისი.**

**„მზიური“: მაკახარაშვილი. პეტრაუსკასი, ფარფალია, დ. ღურწკაია, ა. კვეკვესკირი (ხურცილავა), გაბისონია, კაკავა (ჯლარკავა), დ. ჩხეტია (ეთერია), ბალტუშნიკასი, ხარჩილავა, ქანთარია.**

**„ქუთაისი“: ჩხეიძე, შავგულიძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, ხუხიაშვილი, დვალიშვილი (წიკლაური), შენგელია (ფაიქიძე), დარახველია, ჯანაშია.**

**მსაჯები: მ. ჯელიძე. ს. შალამბერიძე, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი).**

**მატჩი** საკმაოდ დუნედ დაიწყო, მეტოქენი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელები შესამჩნევად გააქტიურდნენ. მწვრთნელებმა ერთდროულად ორ-ორი სათადარიგო მოთამაშე შემოიყვანეს მინდორზე, მაგრამ უფრო მომგებიანი „ქუთაისის“ ხელმძღვანელების ტაქტიკური ნაბიჯი აღმოჩნდა: შენგელიას შემცვლელმა ი. ფაიქიძემ, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი: 55-ე წუთზე იგი გასცდა ორ მეტოქეს, კარის მიმართულებით დაარტყა ბურთი, რომელიც „აეჭრა“ გალელ მცველს, შეიცვალა მიმართულება და შეგორდა კარში — 1:0. ერთი წუთის შემდეგ ჯანაშიას ზუსტი პასით ფაიქიძემ ორამდე გაზარდა ანგარიში, მატჩის მიწურულს თორლაშვილის წამოწყებული კომბინაცია კვლავ გოლით დააგვირგვინა მეკარესთან პირისპირ გასულმა ფაიქიძემ — 3:0.

მართალია, ქუთაისელთა გამარჯვება სადავო არ არის, მაგრამ არც „მზიურის“ ფეხბურთელებმა ითამაშეს ურიგოდ — კარის აღების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ გაბისონიას, ბალტუშნიკასს, ხურცილავას, ჯლარკავას, ქანთარიას. მეკარე ჩხეიძემ და ქუთაისელთა მცველებმა თავგანწირული თამაშით გააუვნებელჰყვეს გალელი ფორვარდების სახიფათო შეტევები.

ქუთაისელებმა უშელავათო ბრძოლაში მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის პოზიციები.

ეს იყო ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა, ვინაიდან მეთერთმეტე ტურში მათი შეხვედრა გაპროტესტებული იქნა.

**ლევან ჯავახიშვილი.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **შვეიცარიის** „სენტ გალენი“ წლევანდელ სეზონში აშკარად გამოირჩეოდა ტექნიკური თამაშით. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდის ძირითად დამრტყმელ ძალას სამხრეთამერიკელები შეადგენენ. ესენია ჩილეს ნაკრების წევრები რუბიო, მარდონიესი, ზამორანო და არგენტინელი რაშლე. სეზონის ბოლოს „სენტ გალენში“ კიდევ ერთი არგენტინელი გამოჩნდა. ესაა მცველი ხორხე ტეილერი, რომელიც ადრე „ნიუელს ოლდ ბოისში“ თამაშობდა.

● **ჩილეს** ნაკრები დისკვალიფიცირებულია ყველა საერთაშორისო შეჯიბრებიდან. ასეთ სიტუაციაში ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები ცდილობენ ევროპულ კლუბებში გადასვლას. ძირითადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი შვეიცარიაში გადავიდა.

● **ცნობილი** პოლონელი ფეხბურთელი ზბიგნევ ბონეკი ახალი სეზონიდან იტალიის „ლეჩეს“ უფროს მწვრთნელად იმუშავებს. ამ კლუბის საუკეთესო ბომბარდირი, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინელი პედრო პაბლო პასკული აღარ აპირებს გუნდში დარჩენას. წინასწარი ვარაუდით მის ადგილს დაიკავებს გფრ-ის „შტუტგარტის“ თავდამსხმელი მაურიციო გაუდინო.

● **მიუნხენის** „ბაიერნმა“ 8 მილიონი დოლარი გამოჰყო ინგლისის „ტოტენჰემის“ ნახევარმცველ პოლ გასკონის საყიდლად.

— **გვახსოვხართ, ჩემპიონებო!**

# დაკარგული ოლიმპიური მედლები...



ინგას ყველაზე დიდი სიხარული

ანზორ კოპლამაზაშვილის ფოტო.

**ვილაცამ** იხუმრა რედაქციაში: ამ სახეობას ჩვენს სპორტში ყველაზე პატარა „ტირაჟი“ აქვს — სულ ერთი ცალიო. მით უფრო სასურველად და აუცილებლადაც მივიჩნიეთ ნავარაუდევი ვიზიტი ინგა გილაურთან — ახლო წარსულში ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მორბენალ-მოციგურავესთან, ამ სახეობაში ერთადერთ, პირველ და იქნებ უკანასკნელ ქართველ სპორტსმენთან.

...კარი „ერთდროულად“ სამმა გილაურმა გაგვიღო: ინგას დედამ — ქალბატონმა ლიუდმილამ, თავად ინგამ და... „მომავალმა ჩემპიონმა“ — ინგას 9 თვის გოგონამ ელისომ, დიდრონი თვალებით გაკვირვებით რომ შემოგვცქეროდა სტუმრებს.

მივხვდით, რომ საჩემპიონო ბიოგრაფიის გაგრძელებაზე უკვე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი და ჩვენს თვალში მოულოდნელად „ექს-ჩემპიონად“ ქცეულ 25 წლის ქალს დელიკატური კითხვები მივეცით განვლილ დღეთაგან.

გამოგიტყდებით, ინგას გამოსვლა მხოლოდ ერთხელ ვნახეთ დივნოგორსკში — კრასნოიარსკიდან მანქანით ნახევარი საათის სავალზე რომ მდებარეობს. ეს იყო ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაზე, 1986 წელს. ანდა სად უნდა გვენახა კიდევ — თბილისში, მოგეხსენებათ, ყინული სარბენად კი არა, ზოგჯერ „ნაყინისთვის არა აქვთ“. ჰოდა, სვერდლოვსკსა და კოლომნაში საციგურაო სპორტის საყურებლად „ლელოს“ რედაქციას, თავისი დიდი შემოსავლისა და ამავე დროს ხელმოკლეობის გამო, არავინ გაუგზავნია.

მოგახსენეთ, ერთადერთხელ ვიხილეთ-თქო „საქმეში“ ინგა გილაური, მაგრამ, იცით რა სენსაციური იყო მისი გამოსვლა ციმბირის ამ პატარა, ახალგაზრდა ქალაქის ყინულზე? არა, სპორტულ მხარეზე არ მოგახსენებთ, თუმცა, ამაზე მოგვიანებით ვიტყვით და არგუმენტებს სახელგანთქმული ჩემპიონების მოსაზრებებით გავამაგრებთ. ახლა კი გვინდა გავიხსენოთ სულ სხვა ამბავი, რამაც სასპარტაკიადო დივნოგორსკში გაუთავებელი ბჭობა-კამათი და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე ის არის, რომ იმხანად თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის (ამჟამად ყოფილ) სტუდენტს ინგა გილაურს ერთდროულად ორი გუნდის ღირსების დაცვა მოუწია — საქართველოსი და მოსკოვის. წარმოიდგინეთ, მოპოვებული ქულებიც „მეგობრულად“ გაჰყვეს ამ ორ გუნდს შორის.

— მხოლოდ შეჯიბრების წინა საღამოს გადაწყვიტეს ორგანიზატორებმა ასე კომპრომისულად დავა ორ მოცილე გუნდს შორის. — გვახსენებს ინგა დივნოგორსკის სტარტის წინ შექმნილ სიტუაციას — სპორტული ფორმა საქართველოს გუნდისა მეცვა, ისევე როგორც ჩემს მწვრთნელს სერგეი მარჩუკს. მოსკოველებმა იქვე შემომთავაზეს თავიანთი ფორმა, მაგრამ მტკიცე უარი განვუცხადე. სხვათა შორის, მოსკოვში წლების მანძილზე ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში, ეგრეთ წოდებულ „რეჩნოი ვაგზალზე“. ბინას მპირდებოდნენ, მაგრამ... ერთი სიტყვით, „მათი“ არ ვიყავი. სამწუხაროდ, არც თბილისში მაქვს საკუთარი ბინა, როგორც ხედავთ, ჩემი ოჯახით ბიძაშვილის სახლში ვცხოვრობ, დიღმის მასივში.

...ინგა გილაური იმ სასპარტაკიადო წელს მართლაც საუკეთესო ფორმაში იყო. დივნოგორსკის ყინულის სტადიონზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — 1.500 მეტრზე არტამონოვასა და ლაპუგას შემდეგ, ხოლო 5 ათას მეტრ დისტანციაზე მეხუთე შედეგი აჩვენა. ნიჭიერმა გოგონამ მართლაც დაუფასა შრომა გულმოდგინე სპეციალისტს ს. მარჩუკს.

— თუ ეს სპარტაკიადა არტამონოვასი იყო (მან ოთხი დისტანცია მოიგო, გარდა 5 ათასი მეტრისა, რომელზეც საერთოდ არ გამოვიდა), მომდევნო სპარტაკიადა აუცილებლად გილაურისა იქნება — ალტაცებით გვითხრა იქვე ყინულზე, დაჯილდოების ცერემონიალის დროს ინგას გამოსვლის ლამაზი სტილით მოხიბლულმა, წარსულში სახელოვანმა მოციგურავემ, მსოფლიოს პირველმა საბჭოთა ჩემპიონმა მარია ისაკოვამ.

— გილაურს მართლაც ყველა მონაცემი აქვს, სულ მალე გახდეს უძლიერესი მთელს კავშირში — ბანი მისცა კოლეგას დივნოგორსკის პრესცენტრში ლეგენდარულ ლიდია სკობლიკოვასთან ერთად მოსულმა მეორე ცნობილმა მოციგურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ კოსიჩკინმა — სხვათაშორის, მე, ფაქტიურად მისი პირველი „მწვრთნელი“ ვარ.

...ასეთ ამბავს პატარა ინგა გილაური, აბა, რას წარმოიდგენდა. დედამისს — ლიუდმილა პარინოვას, მსახიობს, თვით იგორ ილინსკის მოწაფეს — ძალიან უნდოდა პირმშოც მასსავით ხელოვნებას გაჰყოლოდა და, მოცეკვავე ან ბალერინა გამოსულიყო. მაგრამ რა: ინგას საოცრად სუსტი ყელი აღმოაჩნდა, სულ ანგინა ჰქონდა და ვილაცამ ურჩია მის მშობლებს, გასაკაჟებლად ბავშვი სპორტზე მიიყვანეთო. ცხადია, მამამისის, ინჟინერ-მშენებლის სულიკო გილაურის, სპორტის დიდი გულშემატკივრის, გავლენაც იყო, რომ 5 წლის გოგონა საციგურაო სკოლაში მიიყვანეს. აქ მომავალი ჩემპიონი მწვრთნელ თემურ ლომიძის ჯგუფში ჩარიცხეს, მოგვიანებით კი ცნობილ სპეციალისტთან ვალენტინა რეტივიხთან გადაიყვანეს. პარალელურად, სამი წლის მანძილზე, მუსიკალურ სკოლაშიც დადიოდა ფორტეპიანოს კლასში. არ ვიცით, რამდენად დაოსტატდა იგი შავ-თეთრ კლავიშებზე, აი, ყინულზე კი ნიჭიერმა გოგონამ ურიგო შედეგს როდი მიაღწია — 10 წლისამ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა საკავშირო პირველობაზე იაროსლავლში და ოსტატობის კანდიდატი გახდა. იცით, ვინ იყვნენ ინგას მეტოქენი მაშინ? 10-12 წლის გოგონები, დღეს სახელმოხვეჭილი სპორტსმენები: ლარისა სელეზნიოვა, ლენა ვალოვა (კონდრაშოვა), ნატალია ლებედევა — მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი კალგარის ზამთრის თამაშებზე და... მომავალი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი.

— იქვე, იაროსლავლში ცნობილმა მოსკოველმა სპეციალისტმა ვიქტორ კუდრიავცევმა მომმართა წინადადებით, თქვენს შვილს ფიგურული ციგურაობის უდავო ნიჭი აქვს, მინდა ოლიმპიური რეზერვის სპეცჯგუფში ჩავრიცხო, ამისათვის მისი გადმოყვანაა საჭირო მოსკოვში. მჯერა, რომ ინგასგან დიდი ჩემპიონი დადგებაო! — ეს სიტყვები ქალბატონმა ლიუდმილამ გაიხსენა. სხვათა შორის, ინგა დედამისს ხუმრობით პირად „მენეჯერ-იმპრესარიოს“ უწოდებს. გილაურების ოჯახის უფროსი დიასახლისი მართლაც შესაშური მეხსიერებით გამოირჩევა და გვიამბობს კიდეც შვილის სპორტული ბიოგრაფიის სულ უმნიშვნელო დეტალსაც კი, რაშიც ყველაზე კომპეტენტურადაა აღიარებული შინაურების მიერ.

რას არ იზამ შვილის კეთილდღეობისათვის, მომავლისათვის და გილაურებმაც მოსკოვში სასწრაფოდ იქირავეს ბინა. მათთან ერთად თბილისიდან ამავე სკოლაში სავარჯიშოდ გაემგზავრა ინგას მეგობარი საციგურაოდან — გია შანყულაშვილი. ცხადია, ორივეს ქალბატონი ლიუდმილა პატრონობდა. ინგა მაშინ მეშვიდე კლასში სწავლობდა, ახლა უკვე მოსკოვის 210-ე საშუალო სკოლაში. მამამისი იმ 3 წლის განმავლობაში, რომ იტყვიან, პირდაპირ გამოკიდებული იყო თბილისსა და მოსკოვს შორის, ხშირ-ხშირად აგზავნიდა ამანათებსა და ფულს, შეძლებისდაგვარად ჩადიოდა კიდეც.

ინგასთან ერთად ვარჯიშობდნენ ისეთი ნიჭიერი სპორტსმენები, როგორიც იყვნენ: კირა ივანოვა, მარინა იგნატოვა, კონსტანტინ კოკორა და სხვანი. 16 წლის ი. გილაური „ჩემპიონთა აღმზრდელმა“ ელენა ჩაიკოვსკაიამ მიიწვია თავისთან სავარჯიშოდ. წარმოიდგინეთ, კონფლიქტიც კი მოუვიდა ამის თაობაზე ვ. კუდრიავცევთან, რომელსაც ინგა მხოლოდ ტატიანა ტარასოვასთვის „ემეტებოდა“. ეს 1980 წელს იყო, ლეიკ-პლესიდის თეთრი ოლიმპიადის წელს.

— ჩაიკოვსკაია დიდ იმედებს ამყარებდა ახალგაზრდა წყვილზე — ელენა სკოროხოდოვასა და ალექსეი ბადაიკოვზე, მაგრამ სკოროხოდოვა მოულოდნელად თეატრალურ ინსტიტუტში წავიდა სასწავლებლად და პარტნიორი ეულად დარჩა. ჩაიკოვსკაიამ მე შემარჩია ალექსეის ახალ პარტნიორად, — გვიამბობს ინგა, — ორი წელი გვამზადებდა, შეჯიბრებაზე არ გამოვყავდით, უნდოდა სიურპრიზი მოემზადებინა „მოსკოუ ნიუსის“ საერთაშორისო ტურნირისათვის. სამწუხაროდ, ბადაიკოვი, ეს ნიჭიერი, 190 სანტიმეტრი სიმაღლის სპორტსმენი, მძიმედ დაავადდა განუკურნავი ფსიქიური დაავადებით. იგი 20 წლისა იყო, ჩემზე სამი წლით უფროსი. ახლა მე დავრჩი უპარტნიოროდ. ახალი, შესაფერისი მეწყვილე კი ვერ შემირჩიეს, მე ხომ 172 სანტიმეტრი სიმაღლისა ვარ.

ვინ იცის, ეგებ ინგა გილაური ფიგურულ ციგურაობაში კიდევ უფრო დიდი ჩემპიონი გამხდარიყო?!

მთელი ნახევარი წელი გაუცდა ინგას დიდ სპორტში, ძირითადად თავის მწვრთნელს ეხმარებოდა ვარჯიშებზე და თან სერიოზულად ფიქრობდა თეატრალურ ინსტიტუტში შესვლაზე — ბალეტმეისტერის სპეციალობით. მაგრამ, აი ბედი: იმ წელს ამ დარგზე მიღება საერთოდ არ იყო.

ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კოსიჩკინი, ჩვენი დივნოგორსკელი მოუბარი, უკვე ვახსენეთ. ალბათ საჭიროა გავხსნათ ფრჩხილები. საქმე ისაა, რომ ვ. კოსიჩკინი მაშინ მოსკოვში, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქალაქო საბჭოში მუშაობდა ზამთრის სახეობების განყოფილების უფროსად. ერთი სიტყვით, სწორედ კოსიჩკინმა შესთავაზა ე. ჩაიკოვსკაიას, მოდი, გილაური ციგურებით რბენაში გავსინჯოთო: ციგურებზე მაგრად დგას, ფიზიკურადაც ძლიერია, ეგებ...

— მხოლოდ ტელევიზორში თუ მენახა მანამდე ციგურებით რბენა, — ეღიმება ინგას — რა დაგიმალოთ, არ მომწონდა ეს სახეობა, არაესთეტიურად მეჩვენებოდა.

ერთი სიტყვით, გილაური „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის სკოლის მწვრთნელთან — გენადი გერშმანთან — აღმოჩნდა და... სამი დღის შემდეგ უკვე ბალტიისპირეთში ამოჰყო თავი შეკრებაზე. ინგას 18 წელი შეუსრულდა — დიდ სპორტში დებიუტისთვის ეს, ცხადია, საკმაოდ დაგვიანებული იყო. მაგრამ უნდა იცნობდეთ გილაურის ხასიათს, მის მონდომებას, ნებისყოფას — გორგოლაჭებიანი ციგურები ველოსიპედს ცვლიდა, მერე სირბილი, სირბილი... ძალზე დიდი დატვირთვა იყო, მაგრამ ინგა უძლებდა ახალ არჩევანს. სექტემბერში პირველ ყინულზე გავიდა, დეკემბერში კი... ოსტატის კანდიდატობა შეასრულა ახალ სახეობაში. ეს კიევში მოხდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მრავალჭიდში იუნიორებს შორის. აი, სენსაცია თუ გინდათ, სწორედ ეს არის. დაუღალავი ვარჯიშის ერთი წელიც და ინგა უკვე სპორტის ოსტატი გახდა. ზედიზედ იგებდა შეჯიბრებებს, მოსკოვის შვიდგზის ჩემპიონი გახდა მოზრდილებში. სულ სამი წელი ივარჯიშა გ. გერშმანთან. მერე 1985 წელს სერგეი მარჩუკთან გადაიყვანეს. ახლა უკვე ნოვოგორსკის სპორტულ ბაზაზე ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში.

— როგორც ქვეყნის ნაკრების წევრისათვის, ჩემთვის ხელფასი უნდა დაენიშნათ, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ პირად საქმეში „მეხუთე გრაფა“ მიშლიდა ხელს. აი, თუ გამოიცვლიო... — გულახდილობს მასპინძელი.

დასანანია, მით უფრო, რომ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ინგა გილაურს, ქვეყნის სპორტის პრესტიჟი საკმაოდ ბევრჯერ დაუცავს: 1985 წელს ევროპის ჩემპიონატზე ნორვეგიაში (IX ადგილი), 1986 წელს ჰოლანდიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე (XV ადგილი). 1988 წელს ნორვეგიაში ევროპის ჩემპიონატზე (VI ადგილი), 1988 წელს ჰოლანდიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მრავალჭიდში (X ადგილი)...

ყველამ იცოდა, რომ ინგა გილაური კალგარის თეთრ ოლიმპიადაზე მიდიოდა საასპარეზოდ. თამაშების წინ შესარჩევ შეჯიბრებაზე იგი ოთხ დისტანციაზე გამოდიოდა, რომელთაგან ორზე (3 და 5 ათასი მეტრი) მესამე იყო. მის მწვრთნელს ს. მარჩუკს სჯეროდა, რომ ინგა ოლიმპიადაზეც ორ „ბრინჯაოს“ მოიპოვებდა (1.500 და 3.000 მეტრზე), მითუმეტეს რომ იგი, როგორც წესი, ბევრად უკეთ, მობილიზებულად ასპარეზობდა საზღვარგარეთ. კალგარიში სულ სხვა, ბევრად უფრო სუსტი გაგზავნეს (საკავშირო სპორტკომიტეტი რაღაც ვალუტის უქონლობას იმიზეზებდა), მაგრამ ბოლო მომენტში მაინც „თავისი“ სპორტსმენი წაიყვანეს. ასე აგიხდეთ ყველაფერი! ვერც ერთმა საბჭოთა მოციგურავე ქალმა ოქროსი კი არა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალიც ვერ მოიპოვა. „საუკეთესო“ შედეგი მოსკოველ ბოიკოს ჰქონდა — მეოთხე ადგილი 5.000 მეტრზე.

არადა, ი. გილაური იმ წელს განსაკუთრებით მონდომებით ემზადებოდა და მართლაც საუკეთესო ფორმაში იყო. ეს მან ყველას არაორაზროვნად დაუმტკიცა ოლიმპიადის შემდეგ, როდესაც ქვეყნის ჩემპიონი გახდა ერთ-ერთ დისტანციაზე და მეორე ადგილზე გავიდა მრავალჭიდში.

სწორედ ამას ჰქვია, დაუმარცხებელი წავიდაო დიდი სპორტიდან!

დღეს ინგას ყველაზე დიდი სიხარულია პატარა გოგონა. ალბათ, დედასავით ისიც ჩემპიონი გახდება.

— არა, გოგოს ჩემპიონობა არ მინდა, ძალიან დიდი დატვირთვა და წვალებაა, ისე კი, თავისი ჯანმრთელობისათვის, რომელი სახეობაც უნდა, ის აირჩიოს. აი, ბიჭი თუ მეყოლება, აუცილებლად სპორტსმენად გავზრდი, ცხადია, არა მოციგურავე სპრინტერ-სტაიერად, არამედ... ჩოგბურთელად.

**ოთარ ნოზაძე.**

# ყველაფერი ოქტომბერში გაირკვევა

**ჩემპიონატის** ფინალური ეტაპის ოთხი მონაწილე უნდა დაესახელებინა თბილისის ცენტრალურ საწყლოსნო სპორტულ კომპლექსში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის მატჩებს. დაძაბულ, საინტერესო ბრძოლებში გამოვლინდნენ ისინი, ვინც ოქტომბერში გააგრძელებს ბრძოლას ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქუთაისის „ქიმიკოსის" წყალბურთელებმა წარმატებით გაწვლეს შესარჩევი შეხვედრები და ფინალურ ეტაპზე ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

იმედია, ფინალური ტურიც ასევე საინტერესოდ წარიმართება.

**მარინე ბიბუაშვილი**



## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**კალინინში** დამთავრებულ სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში, ტრადიციულად კარგად გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩვიდმეტი საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

საქართველოს მოჭიდავეთა ნადავლი არც ისე ბარაქიანია, თუმცა მალხაზ ბერუაშვილი ოქროს მედალს ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში დაეპატრონა. საპრიზო ადგილზე გავიდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი — გ. ნაცვლიშვილი. მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 68 კგ წონით კატეგორიაში.

აი როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები რესპუბლიკებს შორის:

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| მოსკოვი | 8 | — | 2 |
| რსფსრ | 2 | 6 | 9 |
| სომხეთი | 2 | — | 1 |
| ბელორუსია | 1 | 3 | 2 |
| აზერბაიჯანი | 1 | 1 | 1 |
| საქართველო | 1 | — | 1 |
| უკრაინა | — | — | 2 |
| უზბეკეთი | — | — | 1 |
| მოლდოვა | — | — | 1 |

ახლა პრიზიორთა სიასაც გადავხედოთ:

**48 კგ.** 1. დ. მამედოვი (აზერბაიჯანი), 2. ნ. ციპანდინი (ბელორუსია), 3. გ. გევორქიანი (რსფსრ) და ვ. გრატე (მოლდოვა).

**52 კგ.** 1. გ. ტუტხალიანი (სომხეთი), 2. ბ. ჯაფაროვი (აზერბაიჯანი), 3. ო. ბარსკოვი (რსფსრ) და ვ. ვოსკანიანი (სომხეთი).

**57. კგ.** 1. ი. გაბდუხაკოვი, 2. ა. არხიპოვი (ორივე — რსფსრ), 3. რ. მამარიპოვი (უზბეკეთი) და ნ. ბაგიროვი (ბელორუსია).

**62 კგ.** 1. გ. კაზარიანი (სომხეთი), 2. ი. ბაზაროვი (რსფსრ), 3. დ. ტროშკინი (მოსკოვი) და ე. ვასიაგინი (რსფსრ).

**68 კგ.** 1. ვ. იაპრინცევი (ბელორუსია), 2. ო. ბოროდინი, 3. ა. ტროფიმოვი (ორივე — რსფსრ) და გ. ნაცვლიშვილი (საქართველო).

**74 კგ.** 1. ე. პოსადსკოვი (მოსკოვი), 2. ნ. იგრუშკინი (რსფსრ), 3. რ. ისმაილოვი (აზერბაიჯანი) და დ. დანილოვი (რსფსრ).

**82 კგ.** 1. ა. სიდოროვი (მოსკოვი), 2. გ. ხაიბულაევი (რსფსრ), 3. ვ. ჩერნიკი (ბელორუსია) და წ. ვოზოვი (რსფსრ).

**90 კგ.** 1. ნ. სიდორკევიჩი (მოსკოვი), 2. ა. ბუზინი (რსფსრ), 3. ს. ზლობინი (უკრაინა) და ვ. ელისტრატოვი (რსფსრ).

**100 კგ.** 1. მ. ოზოვი (რსფსრ), 2. ე. გრამსი (ბელორუსია), 3. ი. სმირნოვი (მოსკოვი) და ვ. რუმიანცევი (რსფსრ).

**მძიმე.** 1. მ. ბერუაშვილი (საქართველო), 2. ვ. ემელიანოვი (ბელორუსია), 3. ჰ. ბიქტაშევი (რსფსრ) და ი. ტოპალოვი (უკრაინა).

# საოცარია!..

საოცარ ამბებს ვკითხულობთ ხოლმე საბჭოთა ცენტრალურ პრესაში. გაზეთ „ფეხბურთის" ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ცსკა-ს ფეხბურთელები სერგეი კრუტოვი და ვალერი მასალიტინი დაბრუნდნენ ჰოლანდიის ქალაქ არნემიდან, სადაც ისინი ადგილობრივ კლუბ „ვიტესში" გამოდიოდნენ. როგორც ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული, ჰოლანდიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ისინი შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

17 ივლისის „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა ცნობა, რომ კიევის „დინამოს" ფეხბურთელი ოლეგ პროტასოვი და მოსკოვის სპარტაკელი ვალერი შმაროვი, შესაძლოა კონტრაქტის ძალით გადავიდნენ საბერძნეთის ქალაქ პირეოსის „ოლიმპიაკოსში", რის შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნებულია ათენის გაზეთებში. იმავე ათენის გაზეთებს აღუნიშნავთ, რომ ამ ხელშეკრულების ინიციატორია კიეველი ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი, რომელიც ბოლო ხანებში კიპროსში თამაშობდა, შემდეგ კი მწვრთნელად გადავიდა ათენის „ოლიმპიაკოსში", სადაც შეცვალა უნგრელი სპეციალისტი იმრე კომორა.

გუშინწინ კი საკდესმა გადმოგვცა რეიტერის სააგენტოს ცნობა იმის თაობაზე, რომ სამი საბჭოთა ფეხბურთელი — ოლეგ პროტასოვი („დინამო", კიევი), იგორ დობროვოლსკი („დინამო", მოსკოვი) და იური სავიჩევი („ტორპედო", მოსკოვი) უკვე ათენში არიან და ადგილობრივ „ოლიმპიაკოსთან" მოაწერეს კონტრაქტს ხელი.

გამოქვეყნებულია „ოლიმპიაკოსის" მფლობელის არგირის სალიარელისის სიტყვებიც, რომელმაც განაცხადა: „საბჭოთა ბაზარზე ჩვენ საუკეთესო ფეხბურთელები ვიყიდეთ, ახლა „ოლიმპიაკოსს" ნებისმიერ გუნდთან შეუძლია ბრძოლა".

საკდესი აღნიშნავს, რომ რეიტერის სააგენტოს ეს ინფორმაცია რამდენადმე განსხვავდება ათენის გაზეთებში გამოქვეყნებული იმ ცნობისაგან, რომ „ოლიმპიაკოსში" ითამაშებენ ო. პროტასოვი და ვ. შმაროვი.

საოცარი ის არის, რომ თვით საბჭოთა კავშირში არაფერი იციან გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელების ბედ-იღბალზე. წარმოდგენა არა აქვთ ვინ ვისთან გააფორმა ხელშეკრულება, ვინ ვისთან მოაწერა ხელი კონტრაქტს.

# უცხოეთის ახალი ამბები

## კიდევ ერთი ჯონსონი

**ხანამ** სეულის ოლიმპიური თამაშების უფლებააყრილი ჩემპიონი, კანადელი ბენ ჯონსონი ელოდება დისკვალიფიკაციის ვადის დამთავრებას (იგი დასჯილია დოპინგის მიღებასთან დაკავშირებული ცოდვებისათვის), ამერიკული მძლეოსნობის ცის კაბადონზე ამობრწყინდა ახალი „ვარსკვლავი", — დიდი ჯონსონის მოგვარე მაიკლი. ქვეყნის ჩემპიონატზე, რომელიც ნორუოლკში (კალიფორნიის შტატი) ჩატარდა, სტადიონის ნახევარ წრეს მან 19,90-ში შემოურბინა.

22 წლის ბეილორის (ტეხასის შტატი) უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც წარმატებით ეუფლება მარკეტინგის სიბრძნეს, მსოფლიო სპრინტის ისტორიაში მეთორმეტე მძლეოსანია, რომელმაც 200 მეტრიან დისტანციაზე 20 წამზე უკეთესი დრო აჩვენა. მანამდე სპორტსმენის პირადი რეკორდი 20,07 წამი იყო. ეს მიღწევა მან ორი წლის წინ დაამყარა.

რამდენიმე დღით ადრე, ამერიკის კოლეჯების სტუდენტთა პირველობაზე, მაიკლ ჯონსონმა 200 მეტრი 20,18-ში გაირბინა. აშშ-ს ჩემპიონატის ნახევარფინალში კი მისი შედეგი იყო 20.16 წამი.

— ტრავმა თუ არ შემიშლის ხელს, განაცხადა „პატარა" ჯონსონმა, წლეულს კიდევ არაერთხელ ვაჩვენებ უმაღლესი კლასის შედეგს. არ არის გამორიცხული, რომ ერთმანეთს შევუთავსო 200 და 400 მეტრზე რბენა. ამ ექსპერიმენტს ევროპის სტადიონებზე ვცდი, სიეტლში კეთილი ნების თამაშებზე კი მხოლოდ 200 მეტრიან დისტანციაზე ვაპირებ გამოსვლას.

## ახალი პროგრამა

**ამერიკის** მიერ გამოცხადებული ერთწლიანი ანტისადოპინგო კამპანია, რომელიც 37 სხვადასხვა სახეობის 4400-მდე ათლეტის შემოწმებას გულისხმობს, სულ ცოტა მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება. ასე ფიქრობს ასოშეიტედ პრესის სააგენტოს ნიუიორკელი კორესპონდენტი.

ეს პროგრამა წარმოადგენს აშშ-საბჭოთა კავშირის ოფიციალური შეთანხმების ერთ ნაწილს და გულისხმობს ტესტირების ძველი მეთოდების შეცვლას უფრო ახალი, სრულყოფილი საშუალებებით, თანაც ყველა დიდი შეჯიბრების წინ.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელები აცხადებენ, ტესტირება მოეწყობა 197 რეგიონში განურჩევლად შეჯიბრების ხასიათისა და დონისა. ყველაზე ფუნდამენტური შემოწმება კი ჩატარდება კეთილი ნების თამაშებისა და ამერიკის ოლიმპიური ფესტივალის დღეებში. ჯერ მარტო ამ ორი შეჯიბრებისათვის გამოყოფილია 842 ათასი დოლარი.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება სპორტის სახეობათა ხელმძღვანელებთან ტესტირების დეტალებზე. უფრო სწორად, მოლაპარაკება დამთავრდა, მაგრამ მისი შედეგები ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია.

## დაუბრუნეთ ბავშვებს სიხარული!

**ნიუ-იორკში** ჩატარდა მეექვსე ყოველწლიური სპორტული თამაშები ხეიბარ ბავშვთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა 1300-მდე სხვადასხვა შტატის ბავშვი. თამაშების პროგრამაში იყო ცურვა, რბენა, ინვალიდთა ეტლებით რბოლა და სპორტული თამაშები.

„ჩვენს შეჯიბრებებში არ იქნებიან დამარცხებულნი, — განაცხადა თამაშების აღმასრულებელმა დირექტორმა სიუზან გორდონმა, — ყოველწლიურად ეს თავისებური ოლიმპიადა სულ უფრო პოპულარული ხდება. 1985 წელს, როცა პირველად მოვაწყეთ ეს თამაშები, საასპარეზოდ გამოვიდა მხოლოდ 240 მონაწილე. მათ 90-მდე მოხალისე ეხმარებოდა. დღეს ჩვენ ღონისძიებაში 1000-ზე მეტი ბავშვი გამოდის. დაახლოებით ამდენივე მოზრდილი უწევს მათ დახმარებას".

ბავშვების გრძნობები და სურვილები ყველაზე მკაფიოდ გამოხატა წლევანდელი თამაშების გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსულმა ბობ ოვერმა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დაკარგა ფეხი, შარშან კი ეტლებით შეჯიბრება მოიგო. მან თქვა: „ნუ გვეტყვით ნურასოდროს, რომ რაღაცის გაკეთება არ შეგვიძლია. მოგვეცით თავისუფლება, მხარი დაგვიჭირეთ და გაძლევთ პირობას, ყველას სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ".

სამი დღის განმავლობაში მიმდინარე შეხვედრებს 16 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყო შტატის გუბერნატორი მარიო კუომო, რომელმაც კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „თამაშებმა გვიჩვენა, რომ პატარებს მცირედი ხელშეწყობა და გამხნევება ყოფნით, რათა სასწაული მოახდინონ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ათასობით სხვა ბავშვსაც დავუბრუნოთ რწმენა და სიხარული".

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1990 წლის 28-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 17 (საციგურაო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები), 35 (შაიბიანი ჰოკეი).



„ფორმულა-1"-ს ტრასაზე

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე**

**საქართველოს ზოოტექნიკური სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სტადიონი (კრწანისი)**

**20 ივლისი**

**ფეხბურთი**

საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩი

**„კრწანისი"** (ზოოვეტინსტიტუტი, თბილისი) — **„იბერია"** (თბილისი).

დასაწყისი 18 საათზე.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძქამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი" — 93-97-26, „მარითვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779